



ონის მუნიციპალიტეტი

ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერაში სასმელი წყლის სისტემის
სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთარიცხვო დოკუმენტაციისა
და საექსპერტო მომსახურების შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული
ტენდერის
(შესყიდვის კატეგორია 71320000)

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. ონი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის
2. ტექნიკური დოკუმენტაცია
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
4. დამატებითი ინფორმაცია
5. დანართი №1
6. დანართი №2

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

საპროექტო დავალება

სოფელი უწერის მოსახლეობა დღეის მდგომარეობით წყლით მარაგდება „დიდქოთნის“ წყაროდან, რომელიც მდებარეობს სოფლიდან 2,5 კილომეტრში.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ არსებულ წყალსადენს არ ჩატარებია რეაბილიტაცია (თუ არ ჩავთვლით ლოკალურ შეკეთებებს).

გახშირებული მიწისძვრების შედეგად არსებული წყაროს წყლების უმეტესობა დაიკარგა, რის გამოც წყლის დებეტმა მნიშვნელოვნად იკლო. მოსახლეობის 70 %-ზე მეტი უწყლოდაა დარჩენილი. წყლის დეფიციტი განსაკუთრებით იგრძნობა ზაფხულის პერიოდში, როდესაც სოფელი ივსება დამსვენებლებით, ხოლო წყლის დებეტი კლებულობს.

მომკვლევებელი და დაზიანებულია არსებული ქსელი, რომელიც ლითონისაა. წყალში შეინიშნება ლექები, რომელიც დროთა განმავლობაში გროვდება და აზიანებს როგორც ლითონის მილებს ასევე საოჯახო ტექნიკას.

1. საჭიროა სოფელ უწერაში მდინარე „ბელორი“-ს სათავეზე მოეწყოს სადრენაჟე სისტემა და წყალშემკრები,

2. დაახლოებით 2 კმ. მანძილზე მოხდეს წყალსადენის მილების მონტაჟი დ-110-150 მმ ,

3. მოხდეს არსებული ბეტონის რეზერვუარის რეაბილიტაცია

4. მოხდეს დაზიანებული შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ახალი ქსელის მოწყობა.

5. მოხდეს საქლორატოროს მოწყობა.

პროექტი უნდა მოიცავდეს:

1. განმარტებით ბარათს
2. გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ კვლევას.
3. ნახაზებს (გეგმები, ჭრილები, დეტალები და ა.შ.)
4. მოცულობათა უწყისებს
5. ხარჯთაღრიცხვას
6. სამუშაოთა გრაფიკს
7. საჭირო ტექნიკის ჩამონათვალს
8. მასალათა სპეციფიკაციას

შენიშვნა:

გამარჯვებული მიმწოდებელი ადგილზე გაეცნობა ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი დამკვეთის მიერ წაყენებულ დეტალურ მოთხოვნებს.

მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს პროექტის - ტექნიკური მხარის ექსპერტიზის ჩატარება, რაზეც უნდა წარმოადგინოს დადებითი დასკვნა, რომელიც გაცემული იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ (დასკვნასთან

ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი). ექსპერტიზის მომსახურების ღირებულება გათვალისწინებულია საპროექტო ფასში.

საპროექტო სამუშაოები უნდა შესრულდეს სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით, ეკონომიური ვარიანტის შერჩევით;

მიმწოდებელი ვალდებულია ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული გარემოება შეიტანოს საპროექტო დოკუმენტაციაში დამატებითი ანაზღაურების გარეშე (დამკვეთთან შეთანხმებით);

-მომსახურება გაწეული უნდა იქნას საქართველოში დადგენილი შესაბამისი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #55 დადგენილების შესაბამისად.

3. სხვა მოთხოვნები:

3.1 მიწოდების ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 60 (სამოცი) კალენდარული დღე) ექსპერტიზის ჩათვლით;

3.2 მიწოდების ადგილი ქ. ონი, დავით აღმაშენებლის მოედანი 1;

3.3 სატენდერო წინადადების სავარაუდო ფასი დღგ-ს გარეშე შეადგენს 8305 (რვა ათას სამასხუთი) ლარს;

3.4 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში;

3.5 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით, დღგ-ს გარეშე. დღგ-ს გადამხდელი პრეტენდენტის შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის.

3.6 შესყიდვის თავისებურებიდან (მომსახურების სპეციფიკიდან) გამომდინარე, ვინაიდან აღნიშნული შესყიდვის ობიექტი წარმოადგენს ინტელექტუალურ მომსახურებას, ხოლო ინტელექტუალური მომსახურების დანახარჯებს ძირითადად წარმოადგენს ადამიანური რესურსის შრომითი გასამრჯელო, მიმწოდებელს აქვს შესაძლებლობა აღნიშნული ინტელექტუალური მომსახურება განახორციელოს საბაზრო ღირებულებასთან შედარებით დაბალ ფასად. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეტენდენტის მიერ სისტემაში შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებასთან 20%-ით ან მეტით დაბალი საბოლოო ფასის დაფიქსირების შემთხვევაში არ წარმოეშვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება.

3.7 დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი;

3.8 მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს აღნიშნულ პოზიციაზე მომუშავე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის შესახებ ინფორმაცია, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებით, ამასთან წარმოდგენილი სპეციალისტებს უნდა გააჩნდეს ტექნიკური განათლება და ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოს შესრულების არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება, რაც დადასტურდება შესაბამისი დიპლომ(ებ)ის, სერტიფიკატებისა და პროფესიული და აკადემიური მიღწევების (CV) წარმოდგენით (ასლები).

თანამდებობა, პოზიცია	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება

3.9 ხარჯთაღრიცხვაში მითითებული უნდა იყოს, სამშენებლო სამუშაოებისთვის ძირითადი გამოსაყენებელი მასალის სპეციფიკაციები (ტექნიკური და ფიზიკური მახასიათებლები).

3.10 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე მითითებული უნდა იქნეს სამუშაოს შესრულების ვადა.

4. ანგარიშსწორების პირობები:

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში;

4.2 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

4.3. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის და ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

5. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტები:

ა) რეკვიზიტები (დანართი №1);

ბ) ფასების ცხრილი (დანართი №2);

გ) ინფორმაცია მომსახურე პერსონალის შესახებ, სატენდერო დოკუმენტაციის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტში მითითებული მონაცემების გათვალისწინებით .

შენიშვნა:ა) პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენა ნიშნავს, რომ იგი ეთანხმება შემსყიდველის ყველა მოთხოვნებს რომელიც აღწერილია სატენდერო დოკუმენტაციაში;

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და სატენდერო დოკუმენტაცია დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი ან მისი ნდობით აღჭურვილი (სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე) პირის ხელმოწერითა და ბეჭდით. სატენდერო წინადადება უნდა მოქმედებდეს მისი სისტემაში ატვირთვის დღიდან ტენდერისათვის „ხელშეკრულება დადებულია“, „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“, ან „ტენდერი შეწყვეტილია“ სტატუსის (ერთ-ერთი) მინიჭებამდე.

ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია (ელექტრონული გარანტია) სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება სულ მცირე 120 კალენდარული დღით ტენდერისათვის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ სტატუსის მინიჭების ეტაპიდან.

სატენდერო საფასურის ოდენობა შეადგენს 50 ლარს.

შენიშვნა: ელექტრონული გარანტიის ბენეფიციარი/მიმღები არის სააგენტო. ელექტრონული გარანტიის სააგენტოსთვის წარდგენა და საფასურის გადახდა ხორციელდება სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების მეშვეობით. ელექტრონული გარანტიისა და საფასურის წარდგენა ხდება ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვამდე.

პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისგან: დავით რაზმაძე
ტელ: 591 010360 ; გივი ბენდიანიშვილი- ონის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და
ინფრასტრუქტურის სამსახური ტელ.: 591 010371, მარინე მაისურაძე ტელ.: 591 010383, ელ-ფოსტა:
marinemaisuradze@yahoo.com, მის: ქ. ონი, აღმაშენებლის მოედანი №1

ხელშეკრულების პროექტი
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. ხელშეკრულების პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ, -----
-----საპროექტო მომსახურების შესყიდვა – შემდგომში მომსახურება.

მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

- 2.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება, საქართველოს კანონმდებლობით
- 2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს ----- (-----) ლარს.
- 2.3 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით.
- 2.4 ანგარიშსწორება მოხდება საპროექტო-სახარჯთაღიწვევო მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის (საპროექტო დოკუმენტაციის ტექნიკურ ნაწილზე) წარმოდგენის შემდგომ 15 დღის ვადაში, დასკვნა, რომელიც გაცემული იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი).
- 2.5 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასების (პროცენტების) შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ მომსახურების მოცულობათა შესრულებაზე და მის გადახდაზე.

მუხლი 3. ხელშეკრულების პირობები

- 3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, აგრეთვე ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ამ ნაწილში წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მისი განუყოფელი ნაწილი ხდება.
- 3.2. 3.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები;

მუხლი 4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიმწოდებლისაგან, უკვე დასრულებულ დოკუმენტაციას შემსყიდველი მიიღებს მისი ექსპერტიზაზე გადაცემისა (პროექტის ტექნიკურ ნაწილზე) და სათანადო დასკვნის მიღების შემდგომ, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სამსახურის მიერ დადგენილი წესით განხილვისა და საჭირო რეკომენდაციების მიღების შესაბამისად. შემსყიდველის მიერ პროექტის ანალიზის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პროექტის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის მიღების შემდეგ, დგება დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს გაცემული დავალების შესრულებას და სრულ ასანაზღაურებელ თანხას;

- 4.2. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ. გაწეულ მომსახურებას მიმწოდებელი აბარებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული წესით.
- 4.3. გაწეული მომსახურების მიღების და საბოლოო შემოწმების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი და/ან, საჭირო შემთხვევებში, დასაპროექტებელი ობიექტის მონაკვეთი. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების მოცულობას და ხარისხს.
- 4.4. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული ან მიმდინარე მომსახურების ინსპექტირების შედეგები უარყოფითია, შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე და ანაზღაურებაზე;
- 4.5. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულებისა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ობიექტის ფარგლებში შეუკვეთოს მიმწოდებელს ტექნიკურ დავალებაში აღნიშნული დამატებითი მომსახურების გაწევა.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
 - ა) მომსახურების შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

- ბ) ხელშეკრულებით და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვადებში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ შემსყიდველის და მიმწოდებლის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- გ) მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი პროგრამა. პროგრამაში ცვლილებების შეტანა დასაშვებია შემსყიდველის თანხმობით;
- დ) მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების, ხელშეკრულების პირობების, ასევე ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალების თანახმად;
- ე) მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინოს მას ინფორმაცია გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების შესახებ;
- ვ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;
- ზ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) აწარმოოს ინსპექტირება საამისოდ შერჩეულ პირთან ერთად მომსახურების გაწევის მიმდინარეობაზე, თანახმად ხელშეკრულების პირობების, ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები;
- ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

5.3. ხელშეკრულებით და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვადებში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ შემსყიდველის და მიმწოდებლის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

5.4 შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად მომსახურების გაწევის მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ მასში სათანადო ცვლილებები.

5.5 ხელშეკრულების დადებამდე არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვადებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე. ვადებში ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

5.6 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ, შექმნილი აუცილებლობიდან გამომდინარე, ტექნიკური დავალება მომსახურების გაწევის თაობაზე გაცემულია ხელშეკრულების მოქმედების ვადის ბოლოს და ამის გამო, მიმწოდებელი ვერ ასწრებს აღნიშნული დავალების შესრულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, იგი გააგრძელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის მიუხედავად, აღნიშნული ტექნიკური დავალების საბოლოო დასრულებამდე, ხოლო შემსყიდველი მიმწოდებელს აუნაზღაურებს გაწეულ ხარჯებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახარჯთაღრიცხვო პირობების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი შეთანხმება მომსახურების გაწევის ახალი ვადების გათვალისწინებით.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

7.1 ხელშეკრულების პირობების (სრული) შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლო განისაზღვროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში (მათ შორის, ვალდებულების ვადაგადაცილების დროს) მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით;

7.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

არ გამოიყენება.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

9.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადადვე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

- ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);
- ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე. (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);
- გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;
- დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;
- ე) ამოწურა ხელშეკრულების გარანტიით განსაზღვრული თანხა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი გარანტია.

მუხლი 10. უფლებების გადაცემა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 11. შეტყობინება

11.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 12. ინსპექტირება

12.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე და ხარისხზე;

12.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის ინსპექტირება.

12.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით

12.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გაწევის დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

13.3 მიმწოდებლის საატენდერო წინადადება (ტექნიკური პირობები, სამუშაოების შესრულების მეთოდები, მომსახურების ხარჯთაღრიცხვა, ნახაზები, სპეციფიკაციები და სხვა დოკუმენტაცია) თან ერთვის და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15. ხელშეკრულების მიწოდების და მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულების შესრულების ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან --- დღე (ექსპერტიზის დასკვნის ჩათვლით).

15.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ---- .

რეკვიზიტები

შემსყიდველი

მიმწოდებელი

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება და კოდი:

ანგარიშის ნომერი:

ბ.ა.

(ხელის მოწერა)

ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერაში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების
 საპროექტო-სახარჯთარიცხვო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების
 ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება-----

№	საპროექტო მომსახურების დასახელებას	სატენდერო წინადადება ღირებში	მიწოდების ვადა
	ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერაში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთარიცხვო მომსახურება		
	საექსპერტო მომსახურება %		
	ჯამი		

ხელმოწერა ----- ბ.ა.

*) ა) ფასები იანგარიშება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით.